


გელია დილი მოწავი

# ეპატირინე

K 1809  
Aa



ტფილისი 1896 წ.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა ნიკ. ქ. № 21.

100 54 220000

## ፳፻፲፭፯፪ ፩፻፲፭፱ መጠቃሪያ

385

# ეპატილინე

(კხოვრება და წამება მისი)



კარმოლებული თ. სახოვის მაჟი.

ଓଡ଼ିଆ ୧୮୯୬ ଫେବୃରୀ

Тип. М. Шарадзе и К°. Никол. № 21.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Февраля 1896 г.



წმიდა დიდი მოწამე ნინოს უბნის  
ეკატერინე უფასო

K 1809  
12

I

**U**ფლის ჩვენის იესო ქრისტეს დაბრუების შემ-  
დეგ სამასი წელიწადი იყო გასული. საბერძ-  
ნეთის მეფედ იჯდა მაქსიმიანე, — დაუძინებე-  
ლი მტერი და მდევნელი ქრისტიანეთა. ქა-  
ლაქ ალექსანდრიაში (ეგვიპტეს) სცხოვრობდა მშვენი-  
ერი, ბრძენი და დიდად-განათლებული ასული ეკატი-  
რინე. ზედმიწევნით იცოდა ფილოსოფია, პოეზია  
და ექიმობა. რამდენიმე ენაც ჰქონდა შესწავლილი.  
დედა ეკატირინესი იდუმლად აღიარებდა ქრის-  
ტეს მოძღვრებასა და თვისს ქალსაც ამ მოძღვრე-  
ბის თანახმად ზრდიდა.

მშვენიერს ეკატირინეზე ბევრს მდიდარს თავა-  
დიშვილს ეჭირა თვალი. დედამა და სხვა ნათესავთა  
ბევრი ურჩიეს გათხოვება, მაგრამ ეკატირინეს გულ-  
ში გადაწყვეტილი ჰქონდა ქალწულად დარჩენა და  
მთხოვნელთ ყველას უარს ეუბნებოდა ცოლობაზე.

მშობლები არ მოეშვნენ, უთუოდ უნდა გათხოვდეო. ეკატირინე, მეტი რა ლონე იყო, დასთახმდა, თანაც პირობა დაუდო, — ჩემი საქმრო კეთილშობი. ლობითა, სიმდიდრითა სილამაზითა, და ჭკუით ჩემი ბადალი უნდა იყვესო. „თუ, — დასძინა ბრძენმა ქალწულმა, — ერთ-ერთიც არი, დასახელებული ლირსება არ ექმნება, უარს ვეტყვი, როგორც ჩემის ცოლობის ულირსსა.

მისი მთხოვნელი მეფის შვილი, აგრეთვე თავალიშვილები ბევრი იყვნენ მდიდრებიცა, დიდებულნიცა; მაგრამ სილამაზითა და სიბრძნით ვერც-ერთი ვერ შეედრებოდა ეკატირინესა. ქალწული-კი გადაჭრით უარზე იდგა, — უსწავლელი ქმარი არ მინდაო.

## II

**ა**ლაქ ალექსანდრიის მიღამოებში ერთი მეუღაბნოე სცხოვრობდა, ეკატირინეს დედის მოძღვრად ყოფილი, ცნობილი თვისის კეთილგონიერებითა და წმიდა ცხოვრებითა. ეკატირინეს დედამ არჩია ამ კაცთან წაეყვანა თვისი ქალი, ის კარგად დაარიგებსო.

მეუღაბნოემ, რა გაიგო ეკატირინეს სიბრძნე, გადასწყვიტა გაექრისტიანებინა, უთხრა ქალსა:

— ერთს ყმაწვილს კაცს ვიცნობ, — შენ ყველაფრითა გჯობნის: სილამაზით მზის ბრწყინვალე.

ზას ეჯიბრება; თვისის გონიერებით მთელს ქვეყანას განაგებს; დღე ყოველი მთელს ქვეყანას უხვად ურიგდება მისი სიმღიდრე, მაგრამ მაინც არ ილევა; ენით ვერ გამოითქმის და ჩვენთვის გონება-მიუწვდომელია კეთილშობილება მისი; ბადალი და სწორი არავინა ჰყავს.

— მართალს ბრძანებთ? — ჰკითხა შემკრთალმა და გაოცებულმა ეკატირინემ. ეგონა, ვინმე ამ-ქვეყნიერი თავადიშვილი იქმნებაო.

— მართალია! — უპასუხა მოხუცმა. — იმ ყრმას ისეთი ლირსებაცა აქვს, რომ მისი გამოთქმა შეუძლებელია.

— ნეტა, ვისი შვილია თქვენი ნაქები საქმრო? — ჰკითხა ეკატირინემ.

— ამ ქვეყნად მამა არა ჰყავს; სასწაულებრივ დაიბადა ერთის ყოვლად წმიდა უბიშო ქალწულისაგან, რომელიც თვისის სიწმიდითა და უბიშობით გახდა ლირსი მისის დედობისა. მერე დედა-მისი ცაში იქმნა აღყვანილი, სადაცა წმ. ანგელოზები თაყვანსა სცემენ, ვითარცა დედოფალსა.

— არ შეიძლება, ეს საკვირველი ყრმა ვნახო? — ჰკითხა კვლავ ეკატირინემა:

— რატომ არა, — უპასუხა მეუღაბნოემ, — მხოლოდ რასაცა გიბრძანებ, უნდა აღასრულო.

ეკატირინემ დაიჯერა მეუღაბნოეს ნათქვამი. ყველაფერს ავასრულებ, რასაც მეტყვიო, ოღონდ შენი ნაქები საქმრო მაჩვენეო.

მაშინ განდევგილმა ხატი მისცა. ზედ გამოსახული იყო ყოვლად წმილა ღვთისმშობელი და ძე მისი. თანაც უთხრა:

— ამაზე დახატულია დედა იმ ყრმისა, რომელზედაც ამდენი საკვირველი ამბები გიამბე. სახელად მარიამი ჰქვიან. ეს ხატი შინ წაასვენე, ოთახის კარები ჩაიკეტე და მოწიწებითა და სარწმუნოებით ევედრე მთელი ლამე. იმედი მაქვს, თხოვნას აგისრულებს და თვისი შვილის სახეს გაჩვენებს.

### III

**კ**ატირინე შინ დაბრუნდა, ჩაიკეტა ოთახის კარები და ისე მხურვალედ ლოცულობდა ღვთისმშობლის ხატის წინა, რო დაღლილს იქვე ჩაეძინა. ძილში საუცხოვო სიზმარი ნახა: მის წინაშე იდგა ზეციერი დედოფალი და ხელში ეჭირა ყრმა, რომელიც თვისს გარშემო მზის სხივებზე უფრო ბრწყინვალე სხივებსა ჰყენდა; პირი-კი დედისაკენა ჰქონდა მიბრუნებული ყრმასა. ეკატირინეს უნდოდა მისი სახე დაენახა და ხან საითგან მოუარა, ხან საითგან, მაგრამ ყრმა პირს არიდებდა.

ღვთისმშობელმა თვისს შვილს უქო ქალი, — ლამაზია, გონიერიაო, მაგრამ ყრმამ უპასუხა: „არა უშენოა, უჭიუროა, არ შემიძლია ვუყუროვო. ღვთისმშობელმა ხელახლა დაუწყო ქება ქალსა:

— ეკატირინე, რაც ქვეყანაზე ბრძენნი არიან, ყველაზე ბრძენი და ჭიკვიანია, ყველა ქალაქების ქალებზე მდიდარი და კეთილშობილია.

— უჭიკუოა, ღარიბია, საცოდავია და, სანამ წარმართთა სარწმუნოებას არ გამოიცვლის, ზედაც არ შევხედავ და ჩემს სახეს არ ვაჩვენებ.

— გებრალებოდეს შენი გაჩენილი არსება,— სთხოვა დედამა, — ასწავლე, რა უნდა ჰქმნას, რომ დასტკბეს დიდებითა შენითა და იხილოს სხივმოსილი სახე შენი.

— წავიდეს იმ მოხუცთან, რომელმაც ხატი მისცა, — დაარიგა ყრმამა, — და მისგან გაიგებს, რა უნდა ჰქმნას; და ოდეს ალასრულებს ყველაფერს, რასაც მოხუცი ეტყვის, მაშინ მიხილავს მე და მოპოვებს მადლსა ჩემსა.

ამ სიზმარმა ფრიად გააოცა ეკატირინე. გათენდა თუ არა, წაიყვანა რამდენიმე მოახლე წმ. მოხუცის სენაკში, დაეცა მისს ფერხთა წინაშე და ცრემლით შეევედრა შველასა და რჩევასა.

ღვთის მოსავმა მოხუცმა დაწვრილებით აუხსნა ქრისტეს სწავლა, ქვეყნის გაჩენილგან მოყოლებული ყველაფერი უამბო; მერე მოუთხრო ქრისტეს მეორედ მოსვლა ამ ქვეყნად დიდებითა, ვითარცა ამ ქვეყნის მსაჯულისა. უამბო სამოთხის ნეტარების ამბავი, ცოდვილთა წაწყმედა და სხ.

ეკატირინე მალე მიხვდა ყველაფერსა, ირწმუნა

კეშმარიტი ღმერთი და მოინათლა. მერე წმ. მოხუ-  
ცმა უბრძანა, — კიდევ ილოცე ღვთისმშობელიო. და  
დაპირდა, ყრმას უეჭველად დაინახავო.

#### IV

**კ**ატირინე ახლად-შობილი და განახლებული  
წმ. ნათლისლებითა, შინ დაბრუნდა. ღიღს  
ხანს ლოცულობდა, ბევრიც იტირა. ლოც-  
ვთ დაღლილს ხელახლა ჩაეძინა. სიზმარში  
ღვთისმშობელი დაინახა და მასთან ერთად ძე ღვთი-  
სა, რომელიც ახლა მშვიდად და მოწყალე თვა-  
ლით უყურებდა ქალსა.

— ახლა ხო გინდა ეს ქალი, — ჰკითხა ღვთისმშო-  
ბელმა თვისს შვილსა.

— ახლა, — უპასუხა ყრმამა, — იმდენად მშვენი-  
ერია, იმდენად ბრძენია, იმდენად მდიდარია, რამდე-  
ნად უწინ უშნო, უჭკუო და ღარიბი იყო. ახლა  
იმდენად შემიყვარდა, რამდენად უწინ მძულდა. ისე  
ძლიერად მიყვარს, რო მინდა ჩემი საუკუნო და უხ-  
რწნელი სასძლო იყოს.

ეკატირინე დაემხო მიწაზე და სოხოვა;

— ღირსი არა ვარ, ღიდებოლო უფალო, ვიხი-  
ლო მეუფება შენი. გარნა ღირს მყავ ვიყვე ერთი  
შენი მოახლეთაგანი.

მაშინ ყოვლად წმ. ლვთისმშობელმა დაიჭირა  
მარჯვენა ხელი ეკატირინესი და უთხრა შვილსა თვის-  
სა:

— დანიშნე ქალი ესე ბეჭდითა შენითა და  
იყავნ სასძლო შენი, რათა ლირს იქმნეს მეუფები-  
სა შენისა.

ყრმამ ეკატირინეს ხელზე საუცხოვო ბეჭედი გაუ-  
კეთა და უთხრა:

— ამიერიდგან იყავნ სასძლო ჩემი, ნუ უკვე  
უწყი სიძე მიწიერი.

ფრიად გახარებულს ეკატირინეს გამოეღვიძა  
და თავისს ხელზე საუცხოვო ბეჭედი დაინახა. მას  
დღეს აქეთია, სრულიად გამოიცვალა. სული მისი  
ალივსო ზეციურის სიყვარულითა და დღე-და-ლამე  
თვისს დანიშნულზედა ჰავიჭრობდა.

## V

**A**ს ეამსაშინა ალექსანდრიას მოვიდა იმპერა-  
ტორი მაქსიმიანე, რათა დიდის ამბით და  
ზეიმით თაყვანი ეცა წარმართთა ღმერთებისა-  
თვის. ყველგან გაგზავნა მოამბენი და ხალ-  
ხი მოიხმო წარმართთა დღესასწაულზედ დასასწრებ-  
ლად.

ქალაქი ხალხით გაივსო. ყველას, შეძლებისა-  
მებრ, შესაწირავი მოჰქონდა: ვის ხარი მოჰყვანდა,

ვის ცხვარი, ხოლო მათხოვართ ფრინველები მოიყვანეს შესაწირავად. დაიწყო დღესასწაული. მთელი ქალაქი აღივსო საკმევლისა და ურიცხვი შესაწირავების კვამლითა.

ეს რო გაიგო, ეკატირინემ ბევრი ივიშ-ვიშა და იმწუხრა ხალხის სისულელისათვის. ბოლოს, ქრისტეს სიყვარულით გამსჭვალულმა, გარდასწყვიტა საჯაროდ გამოსულიყო და ეთქვა ხალხისათვის მათი შეცდომა.

რამდენიმე მსახური იახლა და წავიდა წარმართთა ტაძარში, სადაც მეფე და ხალხი მსხვერპლსა სწირავდნენ ღმერთებსა. ეკატირინე კარებში გაჩერდა მეფეს შეატყობინა, შენთან ლაპარაკი მსურსო. ყველას თვალი მოსტაცა მისმა სილამაზემ. მეფემ თავისთან იხმო. ეკატირინემ თავი დაუკრა და უთხრა:

— როგორ არა გრუცხვენიათ, მეფევ, კერპებს თაყვანს როგორა სცემთ? თქვენივე მსწავლულები ამბობენ, რომ ღმერთები, რომელთაც თქვენ თაყვანსა სცემთ, ადამიანები იყვნენ. მათი მსგავსნი ადამიანი სვეტებსა და ქანდაკებებს უდგამდნენ მხოლოდ მოსაგონებლად და არა თაუკანისაწემად. დაუჯერე, მეფევ, თქვენს მსწავლულთა, ნუ ჩადგები ამდენის ხალხის ცოდვაში: მათის წაწყმედისათვის საუკუნო სატანჯველს თავს ვერ დააღწევ. ირწმუნე მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი ღმერთი, მარალის მყოფი, დაუსაბა-

მო და უკვდავი. მისის შემწეობით მეფობენ მეფენი და იგივე განაგებს მთელს ქვეყანასა, თვის-მიერვე გაჩენილსა. ჩვენის ცხოვრებისათვის გარდმოხდა ზეცით, განკაცდა და ეწამა. მას არ უყვარს მსხვერპლი და შესაწირავი, არ უხარის ხოცვა უდანაშაულო ცხოველთა. გარნა სურს ჩვენ სავსებით ვასრულებდეთ წმ. ცნებათა მისთა.

მეფე ფრიად გაბრაზდა. მაგრამ მაინც ვერ შესძლო პასუხი გაეცა ეკატირინესათვის და ბრძანა მსხვერპლთა შეწირვა არ შეეჩერებინათ. ხოლო ჭალს უთხრა, კიდევ მოგელაპარაკებიო.

## VI



ღესასწაული რო გათავდა და ხალხმა თაყვანი სცა კერპთა, მეფემა ბრძანა, ეკატირინე სასახლეში მოეყვანათ. ჭალი რო მოვიდა, მეფემ ჰქითხა:

— ვინ ხარ შენ და რა სარწმუნოებას ჰქადაგებ?

— მე ვარ ასული კონსტის მეფისა, შენზე აღრე რო მეფობდა, ეკატირინე მქვიან; შევისწავლე ყველა მეცნიერება ჩვენის დროისა, მაგრამ იმავე დროს შევიძულე კიდეცა, ვითარცა ამაო და ამ ქვეყნიური სწავლა, და შევიქმენ ქრისტე ღმერთის სასძლო, რომელმაც რქვა პირითა თვისის წინასწარმე-

ტყველისათა: „წარვწყმიდღ სიბრძნე ბომენთა და გულის სმის ყოფა გულის ჭმიერთა დაგფარო (ესაია თავი. ქთ, მუხლი იდ).

ეკატირინეს სიბრძნემა და სიმშვენიერემ მოხიბლა მეფე. თითქმ არც-კი სჯეროდაო, რომ ეს ქალი იმნაირივე მომაკვდავი იყო, როგორც თითონ იყო, ეგონა—ლმერთი არისო. განიზრახა ალერსით დაემორჩილებინა. მაგრამ ეკატირინემ, ალსავსემ უბიწოებითა, უთხრა:

— ეშმაკები, რომელნიც შენ ლმერთებივითა გწამს, გაცდენენ და გიღვიძებენ უკეთურ სურვილთა; მე თითონ მიწა და მტვერი ვარ. ლმერთმა სილამაზე იმიტომ მომანიჭა, რომ ადამიანთ შეიგონონ ძლიერება დამბადებელისა, რომელსაც ძალუძს მიწიერი მტვერიც-კი შემოსოს სილამაზითა და სიბრძნითა:

— ნუ ჰემობ ლმერთებსა, რომელთაც უკვდავი სახელი აქვსთ, — შეუტია გაბრაზებულმა მეფემ.

მაგრამ ეკატირინემ უპასუხა:

— თუ გინდა განაბნიო სიბნელე დამხშველი შენის გონებისა, ნება მომეც ჲეშმარიტება გაგაგებინო. მაშინ შენ თითონ მიხვდები შენის ლმერთების ამაოებას და იცნობ ჲეშმარიტსა ლმერთსა, რომლის მარტოოდენ სახელი, გინა პირჯვარი, მისი სახელით, ჩვენ-მიერ გადასახული, განაბნევს და აქრობს ყველა თქვენს ლმერთებსა.

მეფემ ვერაფერი უპასუხა ბრძენს ქალწულსა; თანაც ეშინოდა, არ მაჯობოსო და ბრძანა, — სასტიკად ადევნეთ თვალ-ყური ეკატირინესაო. ამავე დროს მოიხმო დახელოვნებული ბრძენნი და მსწავლულნი, რათა იმათთვის მიენდო დავის გათავება ბრძენ ქალთან.

## VII



ოვიდნენ ორმოც-და-ათი ბრძენნი და ფილოსოფოსნი, მეფის-მიერ მოწვეულნი. ერთი მეტად მსწავლული და მახვილგონიერი ბრძენი ერია მათს შორის.

მართალია, მეფეს დიდი იმედი ჰქონდა მოწვეულ ბრძენთა ცოდნისა, ჭიუისა და მახვილგონიერებისა, მაინც გააფრთხილა, — წინდაწინვე მოემზადენით სალაპარაკოდ, თორემ ქალი, რომელთანაც უნდა ილაპარაკოთ, როგორც გამოცდილებით ვიცი, სიბრძნით თვით პლატონსაც-კი აჯობებს. თან იმასაც დაპირდა მეფე: „თუ გაიმარჯვენით, დიდად დაგასაჩუქრებთ, მაგრამ თუ დამარცხდით, სიკვდილით დასჯა მოგელისთო“.

ბრძენთა წარმომადგენელმა მოახსენა მეფესა:

— არხეინად ბრძანდებოდეთ, ჩვენის ლონის იმედი გვაქვს, უეჭველად გავიმარჯვებთ.

ხალხი მოზღვავდა სარწმუნოების შესახებ ბჭობის საყურებლად. ქალის მოსაყვანადაც კაცი გაგზავნეს. სანამ მის წამოსაყვანად მივიღოდნენ, ქალს მიხეილ მთავარ-ანგელოზი გამოეცხადა და ანუგეშა: „ნუ გეშინის ასულო ლვთისაო! ლმერთი განაძლიერებს სიბრძნესა შენსა და დაამარცხებს შენს საწინააღმდეგოდ მოსულ ბრძენთა. შენის მეოხებით ის ბრძენ. ნი და მათთან ერთად ბევრნი სხვანი იწამებენ ჭეშმარიტსა ლმერთსა და ყველას დაედგმისთ გვირგვინი მოწამებრივი“.

როცა ეკატირინეს ოთახში შევიდნენ წამოსაყვანად, ის გულდამშვიდებული და დაიმედებული იჯდა. თამამად წარსდგა მეფისა და ბრძენთა წინაშე.

პირველად ლაპარაკი დაიწყო ერთმა, ლაპარაკშე ყველაზე მეტად დახელოვნებულმა და გამოცდილმა ბრძენმა. დიდის თავგამოდებით ექომაგებოდა თვისს ლმერთებსა. თავისს ნათქვამს ძველთა ფილოსოფოსთა და მელექსეთა სიტყვებით ასაბუთებდა: — ისინი მოწმობდნენ კერპთაყვანისმცემელთა ლმერთების უკვდავებასა და ძლიერებასა.

ბრძენი ქალწული არ შეაშინა გაჭიანურებულმა და მეცნიერულმა ლაპარაკმა ფილოსოფოსისამ. იმავე ძველ მწერალთა შემწეობით სრულებით გააქარწყლა წარმართთა ლმერთების მნიშვნელობა, დაუმტკიცა ყველას მათი სიფლიდე, მათი სიბოროტე.

შემდეგ დიდად გონიერმა ეკატირინემ თვისს

მოწინალმდეგეთ განუმარტა ის ადგილნი წარმართთა  
მწერლების ნაწერებისა, საღაც, მართალია, ჯერ კი-  
დევ ბუნდად ნაჩვენები იყო ნაკლულევანება წარმა-  
რთთა სარწმუნოებისა, მაგრამ თან იმასაც ამბობდ-  
ნენ, სხვა ახალი, უკეთესი წყობილება და ახალი  
სარწმუნოება დამყარდება ქვეყნადაო, და ყოველივე  
ესე მაშინ მოხდება, როცა მხსნელი მოვაო.

მერე აუხსნა მაცხოვრის ხორცულესხმა, მისი  
ცხოვრება ჩვენთან, მისნი სასწაულმოქმედებანი. უთ-  
ხრა, — იტანჯა, მოკვდა და თვისის ტანჯვითა და  
სიკვდილით ადამის ძეთა დაუბრუნდა დაკარგულის  
სამოთხის ნეტარებაო. მერე მკვდრეთით აღზდგა და  
ზეცად ამაღლების წინ მოწაფეთა დაპირდა სულს  
წმიდას გადმოგივლენთო, და გადმოუვლინა კიდეცა.  
მერე, სული წმიდა-გადმოვლინებული მოწაფენი წა-  
ვიდ-წამოვიდნენ ქრისტეს მოძღვრების საქადაგებ-  
ლადაო. „იწამეთ ღმერთი ჰეშმარიტი, — უთხრა ბო-  
ლოს ეკატირინემ შეკრებილს ხალხსა, — რომელიც  
ცოდვილთაც აპატივებს თვისთა შეცოდებათა და იმა-  
თაც, ვინც ინანიებს. ღმერთი ამბობს: „ მოვედით  
ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე  
განგისვენოთ თქვენ.„

## VIII

 აკვირვებული ბრძენი მოწიწებით უსმენდა ეკატირინეს ლაპარაკსა და, ბოლოს, თავისი თავი დამარცხებულად აღიარა.

მეფე ფრიად შესწუხდა და სხვა ბრძენ-თა უთხრა, თქვენ მაინც გაუწიეთ სარჩლი ჩემს სა-რწმუნოებასაო. მაგრამ იმათ ერთხმად განაცხადეს, ჰეშმარიტების წინააღმდეგ ვერაფერს ვიტყვითო. მე-ფე ყველას დახოცვას დაემუქრა. ყველა ბრძენთა ჰე-შმარიტ ღმერთად ის ღმერთი აღიარეს, რომელსაც ეკატირინე სცემდა თაყვანსა.

მაშინ მეფემ ბრძანა, ყველანი ცეცხლში დაეწ-ვათ. მეფის ბრძანება რო შეიტყვეს, ბრძენნი ეკატი-რინეს ფერხთა წინ დაემხვნენ და სთხოვეს, ეველრე ჰეშმარიტსა ღმერთსა, რათა გვაპატიოს, ყოველი ჩვე-ნის უცოდინობით შთადენილნი შეცოდებანი, ღირს გვყოს ყოვლად წმ. ნათლისლებისა და სულის წმი-დის მაღლისა.

ეკატირინეს გაეხარდა და სთხოვა:

„ჰეშმარიტად ნეტარ ხართ თქვენ, რომ უარ-ჰყავით ყოველივე მიწიერი და მიეკედლეთ ზეციერსა მეუფესა, ეჭვი ნუ გაქვსთ ღვთის წყალობისა; გარნა დარწმუნებული იყავით, რომ ცეცხლი, რომლი-თაც თქვენ გაშინებენ, თქვენთვის ნათლისლებისა

და ზეცას ასაყვან კიბის მაგიერი იქმნება. ამ ცეცხლში თქვენ განიწმიდებით, დაემსგავსებით ბრწყინვალე ვარსკვლავთა და შეიქმნებით უსაყვარლესნი მეგობარნი. დიდების მეფისა.“

ამას ეუბნებოდა ეკატერინე და ჯვარსა სახავდა თითოეულს მათგანს, და ისინიც სიხარულით მიღიოდნენ სატანჯველადა. \*)

საღამოზე ზოგიერთნი კეთილმსახურნი ქრისტეანენი წავიდნენ იმ ადგილას, სადაც ახალი ქრისტიანენი დასწვეს, რათა პატივით დაემარხათ წამებულნი. დახოცილთა გვამები მრთელი დახვდათ, თავზე თმაც კი შერჩენოდათ.

ამ სასწაულმა ბევრი ურწმუნონი გააქრისტიანა; წამებულთა მცხედრები კი შესაფერ ადგილას მიაბარეს მიწასა.

K/1809/2

## IX

**კ**ატერინე-კი იმ დღეს არ დაუსჯიათ. ამის მიზეზი იყო მისი თვალწარმტაცი სილამაზე, რომელმაც მაქსიმინეს გულში ცოდვილი სიყვარული შთაუსახა. მაქსიმინე ხდლახლა შეეცადა დაეყვავებინა და ბევრს რასმე დავპირდა, ოლონდ შემიყვარეო.

\*) ეს იყო 17 ნოემბერს.

— დამიჯერე, ჩემო შვილო, როგორც მო-  
სიყვარულე მამასა, — ეუბნებოდა მეფე, — თაყვანი ეც  
დიდ ღმერთებსა, რომელთაც ასეთის საუცხოვო  
მშვენიერებით შევამკეს. მე-კი. ჩემის მხრით, ნახევარ  
ჩემ სამეფოს შენ მოგცემ და მთელი შენი დღენი  
ბედნიერად იცხოვრებ.

ეკატერინე მიუხვდა მისს ბორტ განზრახვასა და  
უთხრა:

— ნუ მაცდენ, მეფეო. მე უკვე გითხარ, რომ  
ქრისტეანე ვარ, ქრისტეს სასძლო და მხოლოდ ისა  
მყავს სიძე და მრჩეველი. უმაღლ ვეწამები და სამეფო  
შესამოსელს მაინც არ მივაკარებ ჩემს ტანსა.

მეფე დაემუქრა ეკატერინესა, სასტიკად დაგ-  
ჯიო. მაგრამ ლირსმა ქალწულმა უპასუხა:

— რა თქმა უნდა, შეგიძლია დამსაჯო, მაგრამ  
ამ წვალებით საუკუნო დიდებასა და სახელს მომიხ-  
ვეჭ. და, გარდა ამისა, ჩემის ტანჯვა-წვალების მეოხე-  
ბით ბევრნი მიმდევარნი გამოუჩნდებიან ქრისტესა.  
თვით შენის სრა-სახლიდგანაც ბევრნი წამოვლენ ჩე-  
მთან ერთად ზეციერის მეფის სასახლეში!

ამ წინასწარმეტყველებამ მეფე გააბრაზა. ბრძა-  
ნა, ტანთ გახადეთ და შიშველ ტანზედ შეუბრალე-  
ბლად სცემეთ ხარის ძარღვებითაო.

მეფის მსახურნი მთელი ორი საათი სცემდნენ  
ქალსა, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მთელი ტა-  
ნი დაუოსეს, ხორცის კანი დაუსკდა და ჭრილობე-

ბიოგან სისხლი თქრიალით გადმოსჩეფდა. წმ. ქალი მამაცურად ითმენდა ამ გვემასა და წამებასა. მაყურებელნი გაოცებულნი იყვნენ.

მერე მტარვალმა მეფემ ბრძანა, საბნელეთში ჩააგდეთო, და სანამ სამაგალითო სასჯელს გამოვიგონებდე, შიმშილით სული ამოართვითო.

მაგრამ უფალმა უნუგეშოდ არ დასტოვა თვისი სასძლო. ყოველ-დღე მტრედი მოფრინდებოდა ხოლმე და საჭმელს უზიდავდა. საბნელეთში ყოფნის დროს ეკატერინემ იხილა თვით ზეციერი სიძე წმიდა ანგელოზებთან ერთად და ამან უფრო განუმტკიცა სარწმუნოება.

— ნუ გეშინის, საყვარელო ჩემო სასძლო,— უთხრა ქრისტემ ეკატერინეს, — მე ნიადაგ შენთანავარ და დაგიამებ ტანჯვათა; შენის მოთმინებითა ბევრს აღიარებინებ ჩემს მოძღვრებასა, და ამიტომ მრავალი გვირგვინები დაგედგმის თავზედა.

## X

**ა**ქსიმიანე იმპერატორის მეუღლეს, ავგუსტას, ბევრი ქება გაუგონია ეკატერინეს სიბრძნისა და სიქველისა, და, განსაკუთრებით, ნანახ სიზმარის შემდეგ მოუნდა მისი ნახვა. მაგრამ ქრისტიშით, მისის თანა-დასწრებით ვერა ჰედავდა წამებულის ნახვასა. მეფეს რაღაც საჭმეები გამოუჩინდა.

ნდა და რამდენსამე ხნით ქალაქიდგამ სხვაგან წავი-  
და. დედოფლალმა იდროვა და მეფის მეგობარსა და  
ვეზირს, თავადს პორფირეს, გაენდო. „ამაზე წინად,  
—უთხრა ავგუსტამ, — სიზმარში ეკატერინე დავინა-  
ხე, — მშვენიერი ქალები და ყმაწვილები ეხვია გარშე-  
მო. ყველანი თეთრის ტანისამოსით იყვნენ შემოსი-  
ლნი. თვით ეკატერინეს სახეს ისეთი საუცხოვო  
სხივი გადაჰტენოდა, რომ აღამიანი თვალს ვერ გაუ-  
სწორებდა. ეკატერინემ გვერდით მომისვა, თავზე  
ოქროს გვირგვინი დამადგა და მითხრა: „ეს გვირგვინი  
მეუფე ქრისტემ გამოგიგზავნაო. მას აქეთია, — დასძინა  
დედოფალმა, — მოსვენება არა მაქვს, და გევედრები,  
როგორმე მოახერხე და მალულად მაჩვენე“.

პორფირი დაპპირდა თხოვნის ასრულებასა. იახ-  
ლა ორასი მხედარი და დედოფალი ღამე წაიყვანა  
სატუსალოში, სადაც წმიდანი იყო დამწყვდეული. პორფირემ დაქრთამა სატუსალოს მცველნი და შიგ  
შევიდნენ.

ეკატირინეს გაბრწყინებულმა სახემ დედოფალს  
თვალი მოსჭრა, ჩაუვარდა ფეხებში და წამოიძახა:

— რა ბედნიერი ვარ, რომ ძლივს მელირსა შე-  
ნი ხილვა; დექ, გამოვესალმო ჩემს სიცოცხლეს და  
სამეფოს, — არ ვინაღვლი; სული ჩემი განუსაზღვრე-  
ლის სიხარულით აღივსო, რა-კი ვსჭრეტ შენს ნა-  
თელმოსილს სიმშვენიერესა; ნეტარ ხარ და ლირს ხარ  
ქება-დიდებისა, რომ მიეკედლე ისეთს მეუფესა და

მიიღე მისგან ასეთი საუცხოვო საჩუქარი!

წმიდანმა უპასუხა დედოფალსა:

— ნეტარ ხარ შენცა, დედოფალო! ვხედავ როგორ გაცლიან თავითგან ანგელოზნი გვირგვინსა და ზეცად მიაქვსთ. სამის დღის უკან ცოტაოდენ წამებას გამოივლი და ეს გვირგვინი დაგედგმის და წახვალ ჭეშმარიტ მეუფესთან საუკუნოდ სამეფოლ.

— მეშინიან წამებისა, განსაკუთრებით მეშინიან ულმობელ და გულ ჭვა ქმრისა, — უთხრა დედოფალმა.

მაგრამ წმიდანმა გაამხნევა:

— ნუ გეშინის, იესო ქრისტე შენთან იქმნება და ოდვილად აგატანინებს ტანჯვასა. აქ ცოტათი შესწუხდები ხორციელად, იქ-კი საუკუნო განსვენებას დაიმკვიდრებ.

პორტირის ესმოდა ეს ლაპარაკი და იკითხა:

— ქრისტე რას აძლევს, ვინც იმას იწამებს? მე მინდა ვიწამო და მისი მხედარი შევიქმნე.

— ქრისტეანებრივის მოძღვრებისა არა გიკითხავს. რა? ან არა გაგიგონია-რა? — ჰკითხა წმიდანმა.

— არა, — უპასუხა პორტირებ, — პატარაობითვე სამხედრო საქმეში ვიყავი, სხვა დარღვეულობრივი რა.

მაშინ ეკატირინებ აუხსნა ქრისტეს სწავლა და ყველა იქ დამსწრეთა უთხოა სამოსთქმამს იმ ნეტარებასა, რა

— ენა ვერ გამოსთქმამს იმ ნეტარებასა, რა

ნეტარებაც ყოვლად-სახიერმა და კაცომოყვარე ღმე-  
რთმა განუმზადა ყველასა, ვისაც იგი უყვარს და  
ვინც მისს ცნებას ასრულებს.

დედოფალმა და პორფირემ, მასთან ერთად ორ-  
ას მხედართა ფრიად გაიხარეს. ირწმუნეს ქრისტე,  
მოწიწებით ამბორი უყვეს წმიდა ქალწულსა და გა-  
მოეთხოვნენ.

## XI

**Q**ეორე დღეს დაბრუნდა მეფე და ბრძანა ეკა-  
ტირინე ხელახლა მომგვარეოთო .ქალის მშვე-  
ნიერმა ბრწყინვალებამ ფრიად განაცვიფრა.  
დამწყვდევის შემდეგ თუმცა კარგა ხანი გა-  
ვიდა, მაგრამ ეკატირინე, გახდომის მაგივრად, უფრო  
გაკეთებულა. მეფემ ითიქრა, ალბად სატუსალოს რო-  
მელიმე მცველი საჭმელს უზიდავდაო, და გადასწყვი-  
ტა მათი დასჯა. მაგრამ ეკატერინემ უთხრა,— ადა-  
მიანი-კი არ მაჭმევდა საჭმელსა, თვითონ მეუფე იქ-  
სო ქრისტე ზრუნავდა ჩემთვისაო.

ეკატირინეს სილაშიაზით მოხიბლული მეფე იმედი  
არა ჰკარგავდა,— კიდევ დავუყვავებ, იქმნება, რასმე  
გავხდე და შევაცდინოვო. დაუწყო ქება:

— შენ ჩვენს ღმერთ არტემიდაზე უფრო ლამა-  
ზი და ბრძენი ხარ; ტყუილად ნუ ჰლუპავ შენს სი-  
ლაშიესა. იწამე ჩვენი ღმერთები, მაშინ ნახევარი

ჩემი სამეფო შენი იქმნება და სააქაო ბეღნიერებასაც  
ეწევი.

— ჩემი სილამაზე — მიწაა, ცოდვილია; სიბერი-  
სა და ავადმყოფობისაგან სილამაზე ჭკნება, ხოლო  
სიკვდილის შემდეგ-კი სულ იხრწნება. ტყუილად ნუ  
ჰთიქრობ ჩემის სილამაზისათვისა!

## XII

**ა**შინ სასტიკმა და ულმობელმა ეპარქმა ხურ-  
სალენმა განიზრახა, მეფეს ჩემს სიყვარულსა  
და ერთგულებას დავუმკტიცებო. მივიდა და  
უთხრა:

— ერთი საწამებელი იარაღი გამოვიგონე, იმე-  
დი მაქვს ამ იარაღით ქალი დავიმორჩილო. უბრძანე  
ერთს ღერძზე ოთხი ხის ბორბალი გააკეთონ, ბორ-  
ბლებზე კიდევ გარშემო დანები და მახვილები დაა-  
მაგრონ. ისე უნდა მოაწყონ, რომ როცა ორი ბო-  
რბალი მარჯვნივ იტრიალებს, ორმა მარცხნივ უნდა  
იტრიალოს. ქალს ამ ბორბლებზე დავსვამთ: როცა  
ტრიალს დაიწყებს ბორბლები, მისი სხეული ნაჭერ-  
ნაჭერ იქცევა. მაგრამ ჯერ ვუჩვენოთ, როგორ იტ-  
რიალებს ეს საშინელი მანქანა. იქნება, შეეშინდეს  
ამ საშინელის ტანჯვისა და დაგნებდეს. თუ არ დაგ-  
ნებდა, დევ, ღირსეულად მოკვდეს.

მეფემ მოუსმინა ხურსადენს რჩევა და ბრძანა

მანქანა გაეკეთებინათ.

როცა მანქანა გააკეთეს, წმ. ქალწული საწა-  
მებლად მოიყვანეს და, შესაშინებლად, მის თვალწინ  
ბორბლები დაატრიალეს.

— თაყვანი ეც ჩვენს ღმერთებსა, — უთხრა მე-  
ფემა, — თუ არა და ახლავე ნაფლეთად გაქცევს ეს  
ბორბლები.

— დროს ნუ ჰყარგავ, — უპასუხა ეკატერინემ, —  
რაც გინდა, ის მიყავ... მე რამდენჯერ მითქვამს.  
ჩემს აზრს არ გამოვიცვლი-მეთქი!...

მეფემ რა-კი დაინახა, ვერ შევაშინებო, ბრძანა,  
აწამეთო. მაგრამ, ის იყო, წამება დაიწყეს, თუ არა ან-  
გელოზი გამოეცხადა, საწამებელი იარაღი დაამსხვრია,  
და ქალს არა ევნო-რა. ბორბლის დამსხვრეული ნა-  
წილები აქეთ-იქით გაითანტა და ბევრი ურწმუნო-  
ნიც დახოცა. ამ სასწაულის დანახვაზე ხალხი გაოც-  
და და წამოიძახა: „ დიდ არს უფალი ქრისტეანეთა! ”

### XIII



ედოფალმა ავგუსტამ რო გაიგო ტანჯვისა-  
გან სასწაულებრივი გადარჩენა ეკატირინესი,  
გამოვიდა სასახლითგან და მეფეს საყვედური  
უთხრა, — რად ეურჩები ჭეშმარიტს ღმერთსა  
და უსამართლოდ რად სტანჯავ მისს მხევალსაო. მე-  
ფე ისე გაბრაზდა, რომ მისი ყურება აღამიანს გულს

შეზარავდა. ეკატერინეს თავი ანება და მთელი თავისი ჯავრი ცოლზე იყარა. იგი აწამა საშინლად და, ბოლოს, ბრძანა, თავი მოსჭერითო. ავგუსტამ სიხა-რულით მოისმინა ეს ბრძანება მეფისა და ეკატირი-ნეს უთხრა:

— მხევალო ჭეშმარიტის ღვთისაო, ილოცე ჩემთვისა!

— მშვიდობით წარვედ, — უპასუხა ეკტირინემ, — და დაიმკვიდრე საუკუნო სამეფო ქრისტესი.

დედოფალს მაშინათვე თავი მოჰკვეთეს მახვი-ლითა.\*)

## VIX

 ორთირმა და მასთან ერთად გაქრისტიანებუ-  
ლმა მხედრებმა იმავ ლამეს დამარხეს პატიო-  
სანი გვამი დედოფლისა. მერე მხედრები გა-  
იყოლია, წავიდა მეფესთან და მოახსენა:

— ჩვენ ყველანი ქრისტეანები ვართ, ჭეშმარი-  
ტის ღმერთის მხედრები.

ისინიც დახოცეს.

ამ გვარად აღხდა წინასწარმეტყველება ეკატერ-  
ინესი, რომელმაცა რქვა: „თვით მეფის სასახლით-  
განაც-კი ირწმუნებენ ქრისტე ღმერთსაო.“

\*) ეს იყო 23 ნოემბერს.

## XV

**S**მის შემდეგ მეფემ უკანასკნელად მოიხმო ქალწული და უთხრა:

— შენ ღირსი ხარ საშინელის ტანჯვა-  
წამებისა, ამიტომ რომ შეაცდინე ჩემი ცო-  
ლი, დაჰლუპე გულადი და ერთად-ერთი მხედარი,  
მასთან ერთად ბევრი სხვაცა, და ააშფოთე მთელი  
ხალხი. მაგრამ ყოველსავე ამას გაპატივებ, თუ ჩვენს  
ღმერთებს თაყვანსა სცემ. მენანება შენისთანა ლა-  
მაზ და ბრძენ ქალწულის სიკვდილი. ჩემს სამეფოს  
შუაზე გაგიყოფ; მდიდრულად და ფუფუნებაში გა-  
ცხოვრებ, ისეთ ფუფუნებაში, რომლის მსგავსი არ  
გამოუცდია, არცერთს დედოფალსა.

მაგრამ მეფე თვისის ეშმაკობით წმიდა ქალწუ-  
ლთან ვერას გახდა. რა-კი დარწმუნდა ტყუილადა  
ვსცდილობ მისს შეცდენასაო, ბრძანა მოეკლათ.

## XVI



ოცა მხედრებს ეკატერინე დასასჯელად მიჰ-  
ყავდათ, უკან მრავალი ხალხი დაედევნა. სუ-  
სველანი სტიროლნენ, ზოგნიც ურჩევდნენ:  
„რადა ჰლუპავ შენს ყმაწვილქალობასა და სი-  
ლამაზესა? სჯობს დაუჯერო მეფესა და მერე ფუფუ-

წებით იცხოვრო, ვიდრე ასე სამარცხვინოდ გამოესალმო სიცოცხლესა!“

— ჩემთვის ნუ სტირით, არამედ გიხაროდესთ! ახლა მე ვიხილავ ჩემს საყვარელს სიძესა, იესო ქრისტესა, შემომქმედსა და მაცხოვარსა, რომელი არს მშვენება, დიდება და გვირგვინი ყველა წამებულთა. ის მიმზადებს გამოუთქმელს სამოთხის სიხარულსა, რათა მასთან ერთად ვიმეფო და ვინეტარო უკუნითი-უკუნისამდე. თქვენ თქვენი თავი იტირეთ, ამიტომ რომ თქვენის ურწმუნოებისათვის განმზადებული გაქვსთ დაუშრეტელი ცეცხლი და წვალება საუკუნო.

სიკვდილის წინ წმიდანმა შემდეგი ლოცვა წარმოსთქვა:

— უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო! გმადლობ შენ, რამეთუ დაადგინე ფერხნი ჩემნი მოთმინების ქვასა ზედა და მაჩვენე მე გზა სიმართლისა. გაშალე ყოვლად წმიდა ხელნი შენნი, ჯვარსა ზედა განგმირულნი, და ჩაიბარე სული ჩემი, რომელიც შენთვის შემომიწირავს, ვითარცა მს ხვერპლი სიყვარულისა ჩემისა. მოიხსენე, უფალო, უძლურებანი ჩემნი კაცობრივნი და მომიტევე შეცოდებანი ჩემნი, ჩემის უცოდინარობით ჩადენილნი. განბანე, უფალო, ცოდვანი ჩემნი სისხლითა, რომელსაცა ვღვრი სახელითა შენითა. უფალო, გვამი ჩემი, ოდეს განიგმირების მახვილითა, უჩინარ ჰყავ მტერთა შენთა-

თვის, რომელნიც მდევნიან მე. გარდმოხედე, უფა-  
ლო, ზეცით აქა მდგომარეთაცა და ასწავე მეცნიე-  
რება შენი; აჩვენე მოწყალება შენი, ჩემის სიკვდი-  
ლის მეოხებით გირწმენენ შენ: რათა აღიდონ სახე-  
ლი შენი უკუნითი-უკუნისამდე. “

ლოცვა რო გაათავა, ეკატირინემ უთხრა ჯა-  
ლათსა, აასრულე, რაც გიბრძანესო. ჯალათმა თავი  
მოჰკვეთა წმიდანსა. მისი სხეული, როგორც გვიამ-  
ბობენ, მაშინათვე ანგელოზებმა აიღეს და დიდებით  
გადაასვენეს სინას მთაზე.

ორასში წელიწადმა რო განვლო წმიდა მთავარ-  
მოწამის ეკატირინეს სიკვდილის შემდეგ, სინას მონა-  
სტრის ბერებმა ნახეს თავი და ხელი მისი და პატი-  
ვით გადასვენეს მონასტრის ეკლესიაში.



304/34

ଓসে ৫ জ.